იუჯი სკოლა

კემბრიჯის რეგისტრირებული საერთაშორისო სკოლა

Cambridge Assessment International Education

Cambridge International School

გზამკვლევი ჩვენს სკოლაში

მოგესალმებით, მოგზაურობა UG სკოლაში ვფიქრობთ სასარგებლო იქნება მშობლებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საუკეთესო სკოლა შეურჩიონ თავიანთ პატარას.

სწავლის ღირებულება

ჩვენს სკოლაში სწავლის საფასური შეადგენს 13 000 ლარს. თანხაში შედის:

01 სასწავლო პროცესი

UG სკოლაში სასწავლო პროცესი 9:00 საათიდან 19:00 საათამდე მიმდინარეობს (9:00 სთ - დან - 16:00 სთ - მდე საგაკვეთილო პროცესი, 16:00 სთ - დან - 19:00 სთ - მდე გახანგრძლივებული).

სკოლის საგაკვეთილო ბადე შედგება დღეში 7 ორმოცწუთიანი გაკვეთილისაგან, რომელთაგან 4 ან 5 ძირითადი საგანია (ქართული, მათემატიკა, ინგლისური, ბუნება..), დანარჩენი 2 ან 3 კი ე.წ. „კლუბები“ ან „სტუდიებია“:

1. ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესწავლა) და პროგრამირება (პროგრამირების ენის შესწავლა)
2. მუსიკა - ვოკალი, რითმიკა და ინსტრუმენტზე დაკვრა (ფორტეპიანოს შესწავლა მე-2 კლასიდან იწყება, უკულელეს შესწავლა მე-5 კლასიდან)
3. კითხვის გაკვეთილი - წიგნიერების პროგრამა მოიცავს როგორც ქართულ ენაზე, ისე ინგლისურ ენაზე მსოფლიო ლიტერატურის კითხვას.
4. ლოგიკა - მათემატიკურ მაღალსაზროვნო უნარებზე მუშობა.
5. შემოქმედებითი სახელოსნო - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
6. ეკო-გაკვეთილი (სამოქალაქო აღზრდის საათი);
7. STEAM გაკვეთილი (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა, რობოტექნიკის კლუბი;
8. თეატრალური წრე;
9. სპორტული კლუბები: კარატე, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ტანვარჯიში, ცეკვა
10. ჭადრაკი

ეს ზემოთ ჩამოთვლილი კლუბი-სტუდიები ბავშვებს საგაკვეთილო ცხრილში აქვთ ჩასმული და ძირითად გაკვეთილებთან ერთად, დღეში 7 საათს, კვირაში კი 35 საათს იკავებენ.

პირველკლასელებს ძირითადი ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი ყოველ დღე უტარდებათ, ამ საათებს ემატება ინგლისური კითხვის კლუბის საათები და კემბრიჯის პროგრამის ფარგლებში კვირაში 12 საათი, რომელიც მოსწავლეებს ინგლისურ ენაზე უტარდებათ (1. Cambridge Mathematics, 2. Cambridge Science, 3. Cambridge English)

ძირითადი საგნები (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენა, ბუნება) მოსწავლეებს უტარდებათ შუადღის პირველ საათამდე, ხოლო 13:00 საათიდან 16:00 საათამდე პერიოდი ძირითადად ეთმობა კლუბებს.

02 კემბრიჯის პროგრამა - კემბრიჯის საერთაშორისო სკოლა

იუჯი სკოლა მოსწავლეებს ორმაგი ატესტატის აღების შესაძლებლობას აძლევს. ბრიტანული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ქართულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ინტეგრირების შედეგად, ჩვენს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მეათე კლასის დასრულებისთანავე აქ, სკოლაშივე დაწერონ ბრიტანული საატესტატო გამოცდა (გამოცდებს კემბრიჯის უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლები ჩაიბარებენ) და მიიღონ ბრიტანული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი. კემბრიჯის ცენტრის მიერ გაცემული ბრიტანული ატერსტატი მოსწავლეებს გზას უხსნის ნებისმიერი საზღვარგარეთის უნივერსიტეტისაკენ ყოველგვარი დამატებითი გამოცდების გარეშე. სკოლა კემბრიჯის პროგრამის განხორციელებას იწყებს ხუთი წლის ასაკის მოსწავლეებთან (პრესკულიდან) და თანმიმდევრულად მიუყვება პროგრამას მეათე კლასამდე. (A-Level - გამოცდებისთვის მოსწავლეები ემზადებიან მე-11, მე-12 კლასებში).

03 სპორტული დატვირთვა

მოსწავლეებს შეუძლიათ თავად აირჩიონ სპორტის სახეობა:

1. კალათბურთი
2. ფეხბურთი
3. ფრენბურთი
4. ჩოგბურთი
5. ტანვარჯიში
6. კარატე
7. ცეკვა



04 მოსწავლეთა რაოდენობა და დამრიგებელი

კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა - 20 ბავშვი.

ჩვენს სკოლაში ყოველ 20 ბავშვიან კლასს ჰყავს თავისი დამრიგებელი. დამრიგებლები ეხმარებიან საგნის პედაგოგებს გაკვეთილზე და ყურადღებას აქცევენ ბავშვებს შესვენებაზე. დამრიგებლის საშუალებით ხორციელდება მუდმივი კონტაქტი მშობელთან.

05 მშობლისა და სკოლის თანამშრომლობა, ინფორმაციის გაცვლა, შემოწმება

მშობელი და მასწავლებელი ყოველდღიურად სარგებლობს სკოლის ელექტრონული ჟურნალით. ჟურნალში იტვირთება გაკვეთილების ცხრილი, დავალებები, ჩატარებული ტესტები, დაწერილი კომენტარები... ხდება ყოველდღიური ინფორმაციის გაცვლა მშობელსა და საგნობრივ პედაგოგებს შორის შესრულებულ დავალებებსა თუ სხვა საკითხებზე. სემესტრში ერთხელ ტარდება ინდივიდუალური კრებები, სადაც მშობელი მოდის სკოლაში და მას ინდივიდუალურად ხვდებიან საგნობრივი პედაგოგები. ხდება ბავშვზე შედგენილი პორტფოლიოს განხილვა და გაანალიზება.

06 სკოლის ფსიქოლოგი, სპეც-მასწავლებელი და პედიატრი

სკოლას ემსახურება ექიმი პედიატრი, ფსიქოლოგი და სპეც-მასწავლებელი მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. ექიმი ზრუნავს პატარების ჯანმრთელობის ყოველდღიურ მდგომარეობაზე, ადგენს კვების რაციონს და სისტემატიურად ახორციელებს მონიტორინგს სამზარეულოს სანიტარულ მდგომარეობაზე.

ფსიქოლოგთან ურთიერთობას პატარები პირველ სექტემბრამდეც კი იწყებენ. პირველკლასელები ჩვენს სკოლაში ჩაბარებისას გადიან ფსიქოლოგიურ და წინასასკოლო მზაობის ტესტებს. ტესტირებას ჩვენი სკოლის ფსიქოლოგები ატარებენ. პირველი გაცნობითი შეხვედრის შემდგომ, სკოლის ფსიქოლოგი მოსწავლეებთან უკვე ყოველდღიურ ურთიერთობას იწყებს, წლის განმავლობაში ადგენს მოსწავლეების ფსიქოლოგიურ პორტრეტებს და შემდგომ კონსულტაციას უწევს მშობლებსა თუ მასწავლებლებს.

სკოლის სპეც-მასწავლებლები სკოლაში კონკრეტულ მოსწავლეებთან მუშაობენ, რომელთაც მათი დახმარება სჭირდებათ. სპეც-მასწავლებლები შედიან გაკვეთილებზე, ან მოსწავლეები ინდივიდუალური მეცადინეობისათვის გამოყავთ. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს ინკლუზიური განათლების დანერგვას და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, თითოეული მოსწავლისათვის მისთვის სასარგებლო მეთოდებითა და საშუალებებით მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზებას.

07 უსაფრთხოება

ჩვენი სკოლა აღჭურვილია სათანადო ტექნოლოგიით, რომელიც სრულად აკონტროლებს ჩვენს ინფრასტრუქტურას და მის გარშემო პერიმეტრს. სკოლას ემსახურება დაცვის სამსახური 24 საათის განმავლობაში, რომელიც აქტიურად არის ჩართული ბავშვების ქცევის მონიტორინგში. ნაგებობას აქვს სახანძრო კიბე, სახანძრო დეტექტორები, ელექტრო საევაკუაციო კარებები და საევაკუაციო გეგმა, ტარდება სიმულაციური სწავლებები საგანგებო მდგომარეობისათვის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად. დაცვის წევრები მომზადებული არიან პირველადი დახმარების აღმოჩენისათვისაც. მათ გაიარეს შესაბამისი სწავლება საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლაში და აღჭურვილი არიან სერტიფიკატით. შენობას იცავს აგრეთვე პოლიციის სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელიც ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის ოპერატიულ სამსახურს.

08 კვება

UG სკოლა პირველკლასელებს სთავაზობს განსაკუთრებულ სერვისს. პირველი გაკვეთილის შემდეგ, დილის 10 საათზე პირველკლასელები მიირთმევენ საუზმეს.

შუადღეს სკოლის ყველა მოსწავლე მიირთმევს სრულფასოვან სადილს (წვნიანი, ხორცი, გარნირი), ხოლო 3 საათზე ბოლო კლუბზე შესვლის წინ მიირთმევენ ცოცხალ ხილს.

ის ბავშვები, რომლებიც სკოლაში რჩებიან 7 საათამდე, 16:00 – 17:00 საათამდე მიირთმევენ სამხარს.

09 დასვენება და დავალებების მომზადება

სასწავლო დღის განმავლობაში მოსწავლეები მუდმივად დაძაბულნი და დაღლილნი როდი არიან, ყოველ გაკვეთილს თან მოსდევს 10 წუთიანი შესვენება, ხოლო შუადღეს ბავშვები ისვენებენ 1 საათით. მიირთმევენ სადილს და გადიან ეზოში (ცუდი ამინდის შემთხვევაში დახურულ სპორტულ დარბაზში).

I და II კლასელებს 16:00 საათამდე, ყოველ დღე, საგაკვეთილო ბადეში ერთი მეცადინეობის საათია ჩასმული, შესაბამისად, მოსწავლეები დავალებებს სკოლაში ამზადებენ და წიგნებსა და რვეულებსაც ადგილზე ტოვებენ. დავალებები სახლში შესასრულებლად მოსწავლეებს მხოლოდ შაბათ-კვირას გამოყვებათ.

III - V კლასელები კი საშინეო დავალებებს ასრულებენ გახანგრძლივებულში (16:00 საათის შემდგომ).

10 გახანგრძლივებული 16:00 საათიდან - 19:00 საათამდე

მშობელს ბავშვის დატოვება სკოლაში საღამოს 19:00 საათამდე შეუძლია. მოსწავლე გაკვეთილების დასრულებისთანავე მიირთმევს სამხარს, გადის ეზოში ერთი საათით, უერთდება ძერწვის, ფაზლების, კითხვის კლუბებს. გახანგრძლივებულის პერიოდში მშობელს მოსწავლე შეუძლია ჩაერთოს დამატებით აქტივობებში (სპორტული სკოლის, რობოტექნიკის, მუსიკალური აკადემიის ან სხვა მიმართულებით) მოსწალვე მიირთმევს სამხარს, შეუერთდება დამატებით კლუბს, ხოლო დასრულებისთანავე დაუბრუნდება გახანგრძლივებული ჯგუფის აქტივობებს.

დამატებითი აქტივობები რაც არ შედის 13 000 ლარში:

დეტალური ინფორმაცია სკოლაში არსებულ დამატებით წრეებზე: http://bit.ly/2S8DO7X

1. ტრანსპორტი

   ჩვენს სკოლას ემსახურება 20 ადგილიანი მიკრო ავტობუსები, რომლებიც სკოლის საკუთრებაა და მათ ტექნიკურ გამართულობაზე სკოლა სრულ პასუხისმგებლობას იღებს.

   ტრანსპორტით მომსახურების ღირებულება შეადგენს თვეში 160 ლარს (ორივე მიმართულება), 80 ლარს (ერთი მიმართულება სკოლიდან სახლამდე ან სახლიდან სკოლამდე). ტრანსპორტს დილით მოყავს ბავშვები სკოლაში და საღამოს მიყავს ისინი, როგორც შუადღის 16:00 საათზე, ასევე საღამოს 19:00 საათზე.

სკოლაში რეგისტრაციის გასავლელად გთხოვთ წარმოგვიდგინოთ შემდეგი საბუთები:

1. დაბადების მოწმობის ასლი (ნოტარიულად დამოწმებული)
2. პირადობის მოწმობის ასლი (მშობლების)
3. ფოტო სურათი ელექტრონული ვერსიაც
4. ჯანმრთელობის ცნობა

დედმამიშვილის ერთად დარეგისტრირების შემთხვევაში მოქმედებს 10-10% ფასდაკლება. მესამე ბავშვზე კი - 15% ფასდაკლება

პატივისცემით,
UG სკოლის ადმინისტრაციის უფროსი თინათინ თოფურია

tinatintopuria@gmail.com
UG School/იუჯი სკოლა
www.ugschool.edu.ge
კოსტავას 77ა
+995 591 99 29 21